თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №2

თბილისი, 27 ივლისი, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის 27 ივლისის სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 15:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- სხდომის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე სალომე ბახსოლიანი;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე ალექსანდრე ბატიაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ქოიავა;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი თეა გვარამაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- თამარ ლომიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს კოორდინატორი);
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომა გახსნა 15:03 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სხდომის გახსნა.

2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეზენტაცია – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ცვლილებები (პრეზენტატორი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი).

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა თორნიკე ჭეიშვილმა, სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის შესაბამისი ბრძანების თანახმად, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას დაემატა კიდევ ორი მუდმივმოქმედი წევრი (ცესკო-ს წარმომადგენელი და სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილე). ამასთან, ბატონი თორნიკეს განცხადებით, უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოში რაიმე ინფორმაცია ან რომელიმე დაინტერესებული მხარის შეტყობინება საჯარო მოსამსახურის მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე არ შემოსულა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებულ მომდევნო საკითხზე საუბრისას აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებები ემსახურება წინასაარჩევნო გარემოს გაჯანსაღებას და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენციას. მან თხოვნით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს, წარმოედგინა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული სიახლეები და, ამასთან, კომისიისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადების შესახებ.

მიმდინარე წელს საარჩევნო კოდექსში შესული საკმაოდ მასშტაბური ცვლილებების პრეზენტაციისას ბატონმა გიორგი სანტურიანმა მოკლედ მიმოიხილა ძირითადი პრინციპები და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო წინასაარჩევნო აგიტაციისა და ადმინისტრაციული რესურსის კუთხით განხორციელებულ ცვლილებებს.

პრეზენტაციის შესაბამისად, საარჩევნო სისტემის მხრივ ცვლილებები შეეხო საარჩევნო ბარიერს – არსებული 4%-იანი ნიშნულის ნაცვლად, თბილისში დაიწევს 2.5%-მდე, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტებისთვის (როგორც თვითმმართველი ქალაქებისთვის, ისე თემებისთვის) – 3%-მდე. ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებში, ცვლილებებამდე არსებული წესით, არ იმართებოდა ორტურიანი კენჭისყრა – გამარჯვებულად ითვლებოდა პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. ახალი რედაქციის შესაბამისად, ბარიერი განისაზღვრა 40%-ით და თუკი პირველ ტურში კანდიდატები ვერ დააგროვებენ 40%-ზე მეტ ხმას, ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქებშიც გაიმართება მეორე ტური. ცვლილებების თანახმად, სისტემა გახდა უფრო პროპორციული – თვითმმართველ ქალაქებში პროპორციული და მაჟორიტარული წესით ასარჩევ კანდიდატთა შორის პროპორცია იქნება 1/4 (მაგალითად, თბილისში ასარჩევი 50 დეპუტატიდან 10 დეპუტატი აირჩევა მაჟორიტარული წესით, 40 კი – პროპორციულით). თვითმმართველ თემებში პროპორციული და მაჟორიტარული წესით ასარჩევ კანდიდატთა შორის პროპორცია იქნება 1/2.

საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების კუთხით განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამივე დონეზე (ცესკო, საოლქო, საუბნო) გაიზარდა კომისიების შემადგენლობა და განისაზღვრა არაუმეტეს 17 წევრით, საიდანაც 9 წევრი დაინიშნება პარტიებიდან (უფლება წარმოეშობა მეტი დაფინანსების მქონე 9 პარტიას), 8 წევრი კი აირჩევა კონკურსის საფუძველზე. აღსანიშნავია, რომ კონკურსის წესით ცესკო-ს წევრებს აირჩევს საქართველოს პარლამენტი, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს – ცესკო, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებს – საოლქო საარჩევნო კომისიები. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ სამივე დონეზე გაიზარდა არჩევისთვის საჭირო კვორუმი. ამასთან, არსებობს დაბლოკვის საწინააღმდეგო მექანიზმიც: თუკი ცვლილებებამდე არსებული რედაქციით საკადრო საკითხები წყდებოდა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ახლა კვორუმის საჭიროება განისაზღვრა სრული შემადგენლობის 2/3-ით, მაგრამ თუ ვერ მოხერხდა 2/3-ის მხარდაჭერა, ასეთ შემთხვევაში ხელახალი კენჭისყრის შედეგად შესაძლებელია უკვე კომისიების დაკომპლექტება სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ახალი რედაქციით, ცესკო-ს თავმჯდომარეს ერთი მოადგილის ნაცვლად ეყოლება ორი მოადგილე, რომელთაგან მეორე არჩეული იქნება იმ პოლიტიკური პარტიების (ოპოზიციური) მიერ წარმოდგენილი კომისიის წევრებისგან, რომლებიც პარლამენტში არ იმყოფებიან უმრავლესობაში.

საარჩევნო დავების თვალსაზრისით ცვლილებების მხრივ, აღსანიშნავია, რომ შეიქმნება ცესკო-ს საკონსულტაციო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება სახალხო დამცველის წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დასახელებული შესაბამისი ექსპერტებისგან. საკონსულტაციო ჯგუფის ძირითადი ფუნქცია იქნება რეკომენდაციის გაწევა ცესკო-ს საარჩევნო დავების განხილვის პროცესში; ამასთან, საკონსულტაციო ჯგუფს შესაძლებლობა ექნება, დააკვირდეს ხმების გადათვლის პროცესს.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა საჩივრების დასაშვებობის კუთხითაც; კერძოდ, თუ მანამდე გარკვეული საკითხები წყდებოდა კომისიების თავმჯდომარეების მიერ ერთპიროვნულად, ახლა სხვადასხვა საკითხი გახდება კოლეგიური მსჯელობის საგანი. მაგალითად, საჩივრის განუხილველად დატოვების საკითხს წყვეტდა კომისიის თავმჯდომარე, ახლა კი, კომისიის თავმჯდომარის ნაცვლად, გადაწყვეტილების მიღებაზე კოლეგიურად იმსჯელებს შესაბამისი კომისია. აღნიშნული ცვლილება ეფუძნება OSCE/ODIHR-ის რეკომენდაციას, გაზრდილიყო კომისიის, როგორც კოლეგიური ორგანოს, ფუნქცია, და ის გარკვეული საკითხები, რომლებიც წყდებოდა კომისიების თავმჯდომარეების მიერ ერთპიროვნულად, გამხდარიყო კოლეგიური ორგანოს მსჯელობის საგანი.

ამასთან, გაიზარდა გასაჩივრებისა და განხილვის ვადები. მაგალითად, საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში თუკი ოლქს ჰქონდა მოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღებისთვის 2 დღე, ეს ვადა გაიზარდა 4 დღემდე; გაიზარდა საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილების ცესკო-ში გასაჩივრების ვადაც – თუ მანამდე გასაჩივრების ვადა 1 დღით შემოიფარგლებოდა, ახლა არის გასაჩივრების 2-დღიანი ვადა. თავის მხრივ, განხილვის ვადა 2 დღემდე გაეზარდა ცესკო-საც. ცვლილებაა იმ მხრივაც, რომ შესაძლებელია საჩივრების ელექტრონულად წარმოდგენა (ცესკო განაგრძობს მუშაობას, რათა საკითხი დარეგულირდეს განკარგულებით). პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჩივრების მატერიალური ფორმით წარმოდგენასთან შედარებით, მათი ელექტრონულად მოწოდება მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებისთვის.

ამას გარდა, შეიქმნება ე.წ. მინდობილ პირთა რეესტრი. გასული წლების არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით, მინდობილობის წარუდგენლობა მნიშვნელოვან შემთხვევებში იყო განუხილველობის საფუძველი. მინდობილ პირთა რეესტრის შემთხვევაში უკვე შესაძლებელია, პოლიტიკურმა პარტიებმა თუ სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა ელექტრონულად მარტივად დანიშნონ მინდობილი პირები ისე, რომ ამ თვალსაზრისით რაიმე ზედმეტი ბარიერი ტექნიკურადაც აღარ ექნებათ. ცვლილება შეეხო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის საკითხსაც; კერძოდ, თუ უფლებამოსილი პირი – ამ შემთხვევაში ცესკო-ს ან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე – არ მიიღებდა სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გადაწყვეტილებას, ასეთი შემთხვევები სასამართლოში არ საჩივრდებოდა, ხოლო გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო არ მიიღებდა წარმოებაში. ახალი რედაქციის თანახმად, მსგავსი შემთხვევებიც გასაჩივრდება – შესაბამისი საჩივრის ავტორს ორი დღის განმავლობაში ექნება სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებით ბატონმა გიორგიმ ისაუბრა სამ ძირითად საკითხზე. მისი თქმით, გაიზარდა პირთა წრე, ვისაც არ შეუძლია წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი უფლებამოსილების

შესრულებისას; გაიზარდა კენჭისყრის შენობის რადიუსი, რომლის ფარგლებშიც იკრძალება ამომრჩევლის შეფერხება, ადამიანთა შეკრება ან აღრიცხვა; ამასთან, გაიზარდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვის ჩამონათვალი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა საარჩევნო კოდექსის კიდევ ერთ ცვლილებაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც შეეხება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრეს (ახალი რედაქციით, აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა საჯარო მოსამსახურისა (*ნაცვლად საჯარო მოხელისა*) – სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ის უშუალოდ ასრულებდა სამსახურებრივ ფუნქციებს. მისივე განმარტებით, ტერმინი „საჯარო მოსამსახურე", თავის არსით, უფრო ფართო მნიშვნელობისაა და, შესაბამისად, აკრძალვაში ექცევა საჯარო სამსახურში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიც. აქვე ბატონმა გიორგიმ ხაზგასმით აღნიშნა კანონმდებლობაში დამატების თაობაზე, სადაც დაკონკრეტებულია იმ პირთა წრე, ვისაც ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში (სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი; აღმზრდელ-პედაგოგი; აღმზრდელი; მასწავლებელი და ამ დაწესებულებებში დასაქმებული სხვა პირი).

მომხსენებელმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან დამატებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ახალი რედაქციით აიკრძალა წინასაარჩევნოდ აგიტაციის გაწევის დროს სამსახურებრივი ნიშნით შეკრება (საჯარო მოსამსახურეების; საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების; სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორების, აღმზრდელ-პედაგოგების, აღმზრდელების, მასწავლებლების, იქ დასაქმებული სხვა პირების).

ამასთან, ახალი რედაქციის მიხედვით, დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება. ეს მასალა ჩამოხსნას/დემონტაჟს/აღებას ექვემდებარება. ასევე, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება. ბატონი გიორგის განმარტებით, დაუშვებელია კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობიდან 100 მეტრის მანძილზე ადამიანთა შეკრება ან ამომრჩეველთა აღრიცხვა.

ცესკო-ს წარმომადგენელმა ისაუბრა კანონმდებლობის ფარგლებში აღსრულების მექანიზმის ცვლილებებზეც და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის შესახებ პოლიციის მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი.

პრეზენტაციის ბოლოს მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებული ცვლილებები, კერძოდ: აიკრძალა შესწორების ოქმის შედგენა კენჭისყრის დღის მომდევნო დღეს; ამასთან, გადასწორების შემთხვევაში მონაცემები სავალდებულო წესით

გადაითვლება; საოლქო საარჩევნო კომისია უბნის შემაჯამებელი ოქმის მონაცემებს მხოლოდ გადათვლის საფუძველზე შეცვლის; თითო ოლქში 5 უბანი ავტომატურად გადაითვლება.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ გიორგი სანტურიანს პრეზენტაციისთვის და მიმართა კომისიის წევრებს კითხვებთან დაკავშირებით ცვლილებების ირგვლივ.

პრეზენტაციით წარმოდგენილ საკითხებსა და, ზოგადად, საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით ცესკო-ს წარმომადგენელს დაზუსტების მიზნით კითხვებით მიმართეს კომისიის წევრებმა (განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილმა, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძემ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ნიკოლოზ როსებაშვილმა).

როგორც ბატონმა გიორგი სანტურიანმა აღნიშნა, მოთხოვნის შესაბამისად, იგი კომისიის სამდივნოს მიაწვდის საარჩევნო კოდექსის ძველი და ახალი ნორმების შედარების დოკუმენტს კომისიის წევრებისთვის გადასაგზავნად.

დასასრულ, სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე უწყებების წარმომადგენლებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 15:39 საათზე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

კომისიის მდივანი: